პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 2
(3741)

4
1969 წ.
იანვარი,
შაბათი.
ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის
25-ე წელი.

„ლელოს“ პრიზი — „კოლმეურნეს“

ბაკურიანში დამთავრდა სათხილამურო სეზონის გახსნისადმი მიძღვნილი „ლელოს“ პრიზის გათამაშება. ბოლო დღის პროგრამაში იყო სლალომი და რბენა ვაჟებისთვის 10, ხოლო ქალებისთვის 5 კილომეტრზე.

ადრეც ვწერდით, რომ ნაგვიანევმა ზამთარმა სპორტსმენებს ხელი შეუშალა უკეთ მომზადებულიყვნენ ასპარეზობისთვის. ამიტომაც შედარებით დაბალი იყო შედეგები რბენაში. ამ დღესაც სტარტზე გამოსული 14 ვაჟიდან 10 პირველთანრიგოსანი გახლდათ. სათანრიგო ნორმატივი კი ხუთმა მოთხილამურემ ძლივს აჩვენა. როგორც 15 კილომეტრზე რბენაში, ახლაც ყველას აჯობა „კოლმეურნის“ გუნდის წევრმა ზ. გულბანმა — 44.10,0, რომელმაც II პრიზიორს რ. მაკიევს 37 წამი მოუგო, III ადგილზე გასულ ლ. სოლოიანს (ორივე — „კოლმეურნე“) 1 წუთი და 53 წამი, ბოლო ადგილის მფლობელს ჯ. ლობჟანიძეს („განთიადი“) კი ფინიშთან 13 წუთითა და 39 წამით მიასწრო. აქვე დავუმატებთ, ამ დისტანციაზე სპორტსმენები მარტო „კოლმეურნემ“, „ბურევესტნიკმა“ და „განთიადმა“ გამოიყვანეს.

ასეთივე სურათი იყო 5 კილომეტრზე ქალთა რბენაში, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ პირველობა სპორტის ოსტატმა კ. კეხბამ („განთიადი“) მოიგო — 31.10,0. სამწუხაროდ, საუკეთესო პირად შედეგს იგი ამჯერად 10 წუთით მაინც ჩამორჩა. თავი ვერც პირველთანრიგოსანმა ნ. ბალაშვილმა („ბურევესტნიკი“) გამოიჩინა. მან მართალია II ადგილი დაიკავა, მაგრამ მეტად უხეირო შედეგს (32.29,0) დასჯერდა. III იყო „კოლმეურნის“ გუნდის წევრი ა. კაზაკოვა — 35.26,0.

შედარებით დამაკმაყოფილებელი გახლდათ სლალომისტთა მაჩვენებლები. 4 ქალი და 6 ვაჟი შესწვდა I თანრიგის ნორმატივს. ამ სახეობებში გაცილებით მეტი მონაწილეც გამოვიდა.

ვაჟების გიგანტურ სლალომში გამარჯვებულმა სპორტის ოსტატმა ი. ნასყიდაშვილმა („ბურევესტნიკი“) თავიდანვე ისე სწრაფად დაიწყო, რომ კარი გამოტოვა, შეცდომის გამოსწორება დიდ დროს მოითხოვდა და შეჯიბრებას გამოეთიშა. მისი ბედი გაიზიარეს პირველთანრიგოსნებმა დ. თვაურმა („კოლმეურნე“) და ა. მაკიევმა (თბილისი, ასკ). პირველობა დარჩა ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტს, პირველთანრიგოსან შალვა კოზანაშვილს (45,1), რომელმაც 1,6 წამით აჯობა დინამოელ სპორტის ოსტატს შოთა კოზანაშვილს, მას 0,2 წამით ჩამორჩა თანაგუნდელი გ. ჯიჩოევი. პრიზიორებს გარდა I თანრიგის ნორმატივი შეასრულეს არმიელთა სპორტკლუბის წევრებმა რ. აკოფოვმა, გ. ნეზდილეიმ და ვ. მიქაბერიძემ („კოლმეურნე“).

ქალებში იმარჯვა ოსტატობის კანდიდატმა ნ. ფალიანმა („ბურევესტნიკი“) — 52,8, მან 0,1 წამით მოუგო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს, სპორტის ოსტატ ლ. გოგოლაძეს („კოლმეურნე“). გიგანტურ სლალომში გამარჯვებული ნ. ომიაძე („განთიადი“) III ადგილს დასჯერდა — 53,0.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება და „ლელოს“ პრიზიც „კოლმეურნის“ ნაკრებს დარჩა, II ადგილზეა „ბურევესტნიკი“, III—„განთიადი“.

თუ „ბურევესტნიკმა“, „კოლმეურნემ“ და „განთიადმა“ ტურნირისადმი სათანადო ინტერესი გამოიჩინეს და სრული გუნდებით გამოვიდნენ, „დინამო“ და არმიელთა სპორტკლუბი მხოლოდ პირად პირველობაში რამდენიმე სპორტსმენის გამოყვანით დაკმაყოფილდნენ. „ლოკომოტივმა“, „სპარტაკმა“, „შრომითმა რეზერვებმა“ კი საერთოდ თავი აარიდეს შეჯიბრებას.

მხოლოდ სამი სპორტული საზოგადოება ყველას საქმეს ვერ გააკეთებს. სათხილამურო სპორტისადმი უზრუნველობა კი ძვირად გვიჯდება — საქართველოს გუნდები საკავშირო სარბიელზე თანდათან ვკარგავთ ადრე მოპოვებულ პოზიციებს.

დოდო გელაშვილი.

* * *

სურათზე: ვაჟთა რბენაში გამარჯვებული ზ. გულბანი დისტანციაზე.

ბ. გურგენიძე ლიდერებშია

ალმა-ათა, 2 იანვარი. ახალი წლის წინადღით აქ დაიწყო მოჭადრაკე ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი, რომელშიც 8 დიდოსტატი და 12 ოსტატი მონაწილეობს.

I ტურში სამი მაგიდა თავისუფალი იყო, რადგან მონაწილენი ჯერ არ ჩამოსულან ყაზახეთის დედაქალაქში. ამ ტურის პარტიები მშვიდობიანი ბრძოლით გამოირჩეოდა — ტურნირის არც ერთ მონაწილეს არ სურდა ახალ წელს ცუდ გუნებაზე შეხვედროდა. გამონაკლისს წარმოადგენდა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ტალი, რომელმაც მისთვის ჩვეული აგრესიულობით შეუტია მოსკოველ ოსტატ ი. ზაიცევს და ფარ-ხმალი დააყრევინა. ტალმა ამ გამარჯვებით ზაიცევზე შური იძია გუნდურ პირველობაში დამარცხებისთვის.

ყაიმზე შეთანხმდნენ რ. ხოლმოვი და ლ. პოლუგაევსკი, ვ. ბაგიროვი — ე. ვასიუკოვი და ბ. გურგენიძე — ი. ნიკიტინი. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

II ტურში ცარიელი მაგიდების რიცხვი ორამდე შემცირდა, ვინაიდან ახალი წლის პირველ დღეს ბრძოლაში ჩაება მოსკოველი დიდოსტატი ი. ავერბახი. იგი თანაქალაქელ დიდოსტატს ვ. ლიბერზონს შეხვდა. ინიციატივას თავიდანვე ავერბახი ფლობდა. შემდეგ ლიბერზონი ცაიტნოტში მოხვდა, შეცდა და 43-ე სვლაზე თავი დამარცხებულად ცნო.

შესანიშნავად ითამაშა საერთაშორისო ოსტატმა ბ. გურგენიძემ. იგი შავებით ეთამაშებოდა ომსკელ ვ. ცეშკოვსკის. ქართველმა მოჭადრაკემ ჯერ პაიკი მოიგო, შემდეგ ხარისხი. მეტოქის მეფის ფლანგზე ძლიერი იერიშით სატურნირო ცხრილში გურგენიძემ ქულა ჩაიწერა. ი. სახაროვმა დაამარცხა ა. ჩერეპკოვი. დიდოსტატების პოლუგაევსკისა და ა. ლეინის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. შემდეგ ლეინმა მოიგო I ტურიდან გამოტოვებული პარტია სახაროვთან. ყაიმით დამთავრდა ი. ზაიცევისა და რ. ხოლმოვის, მ. პოდგაეცისა და ვ. ბაგიროვის შეხვედრებიც. ორი პარტია გადაიდო.

2 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ ლეინი და გურგენიძე, რომლებსაც 1,5-1,5 ქულა აქვთ.

[illegible]

● **ტალინი**, 2 იანვარი. ევროპის ჩემპიონი და მეხიკოს ოლიმპიური თამაშების „ვერცხლის“ პრიზიორი, ქვემძიმე წონის ძალოსანი ი. ტალტსი ზედიზედ მეორედ დაასახელეს ესტონეთის ყველაზე პოპულარულ სპორტსმენად. გამოკითხვა მოაწყო ამ რესპუბლიკის სპორტულმა გაზეთმა „სპორტილეჰტმა“. ქალებში საუკეთესოდ აღიარეს 800 მეტრზე რბენაში სსრ კავშირის ჩემპიონი ლ. ერიკი.

● **ლენინგრადი**, 2 იანვარი. ლ. ბელოუსოვა და ო. პროტოპოპოვი — ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიადის „ოქროს დუეტი“ — ლენინგრადელმა ჟურნალისტებმა გასულ სეზონში ამ ქალაქის საუკეთესო სპორტსმენებად აღიარეს.

ჩემპიონი მხოლოდ მესამე...

ჟურნალი „ფრანს-ფუტბოლი“ ყოველწლიურად აწყობს ანკეტას ევროპის საუკეთესო გუნდების დასადგენად. 1968 წლის შედეგების მიხედვით სპეციალისტებმა პირველობა მიაკუთვნეს მსოფლიო პირველობის ვიცე-ჩემპიონს გფრ-ის ნაკრებს, რომლის წლიურ აქტივშია 5 გამარჯვება, ამდენივე ფრე და მხოლოდ 1 წაგება. II ადგილი დაისაკუთრა ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა, რომელმაც შარშან 4 გამარჯვება მოიპოვა და 1 საერთაშორისო შეხვედრა ფრედ დაამთავრა. III, IV, V და VI ადგილები თანმიმდევრობით დაიკავეს ევროპული ჩემპიონატის ფინალისტებმა — იტალიის, იუგოსლავიის, ინგლისისა და სსრ კავშირის ნაკრებმა კოლექტივებმა.

კლასიფიკაციაში ბელგია, ბულგარეთი და უნგრეთი იყოფენ VII-IX, ესპანეთი და შოტლანდია — X-XI ადგილებს, XII ადგილზეა შვეცია, XIII და XIV ადგილებზე არიან ჩრდილოეთ ირლანდია და რუმინეთი, XV-XVII — საბერძნეთი, პორტუგალია, პოლონეთი და ა. შ.

◆ **თეირანი**, 3 იანვარი. ახალი წლის პირველი მსოფლიო რეკორდის მფლობელი გახდა ოლიმპიური ჩემპიონი, საშუალო წონის ძალოსანი, ლენინგრადელი ბ. სელიცკი. მან ირანისა და სსრ კავშირის გუნდების მატჩის დროს აჰკრა 190,5 კგ და 0,5 კგ-ით გააუმჯობესა უნგრელ დ. ვერეშის მსოფლიო მიღწევა.

◆ **კასტინგსი**, 3 იანვარი. აქ გამართული საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის ლიდერი გახდა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვ. სმისლოვი. მას ახლა 5 ქულა აქვს (6-დან).

◆ **ვარშავა**, 3 იანვარი. გრენობლის ოლიმპიადის 3 ოქროს მედლის მფლობელი, ფრანგი მოთხილამურე ჟან-კლოდ კილი აღიარებულია ევროპის პირველ სპორტსმენად. გამოკითხვა მოაწყო პოლონეთის ბეჭდვითი სააგენტომ და მასში მონაწილეობა მიიღო ჩვენი კონტინენტის პრესის ყველა სააგენტოს ჟურნალისტებმა. ათეულში შევიდა ორი ჩვენი სპორტსმენი — ვ. სანეევი და ი. ლუსისი.

◆ *ჟენევა*, *3 იანვარი. მსოფლიო ჩემპიონი ველოკროსში, ბელგიელი რ. ვლამინკი პირველი იყო 20-კილომეტრიან რბოლაში. მისი დროა — 58.48.*

◆ **გარმიშ-პარტენკირხენი**, 3 იანვარი. სსრ კავშირის იუნიორ ჰოკეისტთა ნაკრები კონტინენტის ჩემპიონი გახდა. ჩეხოსლოვაკიელ სპორტსმენებთან მატჩი ჩვენებმა ფრედ — 2:2 დაამთავრეს და 9 ქულით I ადგილი გაინაღდეს.

◆ მეხიკო, 3 იანვარი. „აცტეკის“ სტადიონზე გამართული მექსიკისა და იტალიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების მატჩი სტუმრების გამარჯვებით დამთავრდა — 3:2. გადამწყვეტი ბურთი 89-ე წუთზე გაიტანა რივამ.

12 სანტიმეტრით

კაუნასში გათამაშდა ლიტვის თასი მძლეოსნობაში. ამ ქალაქის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა, 18 წლის ა. ვიტკიავიჩუსმა ბირთვის კვრაში 17,55 მეტრი აჩვენა. ეს შედეგი 12 სმ-ით სჯობია ჭაბუკთა საკავშირო რეკორდს და ამავე დროს იუნიორთა ახალი საკავშირო მიღწევაა დახურული შენობისთვის.

სურათებზე: გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ მიერ გამოცხადებული საკავშირო ფოტოკონკურსში „მსოფლიოს სიჭაბუკე“ გამარჯვებული ნამუშევრები „გრაცია“ (ავტორი ვ. შეჟევიჩი) — მარცხნივ, და „გაზაფხულის სუნთქვა“ (ვ. სკრიპაჩევი) — მარჯვნივ.

კამბოჯასა და სინგაპურში



თერმომეტრი 10 გრადუს სიცივეს უჩვენებდა, როდესაც მოსკოვიდან გავფრინდით. თეირანსა და კარაჩის გავლით, 20 საათიანი ფრენის შემდეგ, აუტანელ სიცხეში მოვხვდით ბირმის დედაქალაქ რანგუნში. ჩვენი რამდენიმე ფეხბურთელი გზაში საკმაოდ მძიმედ ავად გახდა და ამიტომ დელეგაციის ერთი ჯგუფი რანგუნში დარჩა, ხოლო მეორემ განაგრძო გზა. საჭირო შეიქნა სასწრაფო ზომების მიღება, რის შემდეგ ავადმყოფნი გამოჯობინდნენ და მალე შესაძლებლობა მოგვეცა გავმგზავრებულიყავით კამბოჯისკენ. ტაილანდის დედაქალაქის გავლით ჩავედით პნომპენში.

მართალია, კამბოჯაში დეკემბერი ზამთრის თვედ ითვლება, მაგრამ თერმომეტრი 36 გრადუს სიცხეს აჩვენებს. აეროდრომზე დაგვხვდა აქაურ კალათბურთელთა მწვრთნელად მოწვეული სპორტის დამსახურებული ოსტატი ო. ქორქია, რომელსაც ადგილობრივი სპორტის მოყვარულნი პნომ-პენის პაპას უწოდებენ. ოთარი სიმაღლითა და მოყვანილობით პირველია მთელს ქალაქში და ამიტომ გულივერადაა მონათლული.

მატჩი იმავე დღეს იყო დანიშნული. ჩვენი ფეხბურთელები მეტად უთანასწორო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ: 24 საათი ჰაერში, კლიმატის მკვეთრი შეცვლა, სადღეღამისო დროის დიდი სხვაობა — ყველაფერი ეს კარგს არაფერს უქადდა ჩვენს სპორტსმენებს. ერთი კი იყო, რომ მასპინძლებმა ყველა პირობა შეგვიქმნეს კარგი დასვენებისთვის. ვცხოვრობდით შესანიშნავად მოწყობილ სპორტულ ქალაქში, რომელიც განლაგებულია პნომ-პენის ცენტრში, ვრცელ ტერიტორიაზე 60-ათასიანი სტადიონით, 6-ათასიანი დახურული კალათბურთის დარბაზით, საცურაო აუზით, ჩოგბურთის კორტებით და 8 ოთხსართულიანი სასტუმროს ტიპის შენობით. ყველაფერი ეს მაღალი გემოვნებით, ლამაზადაა აგებული. აქ ეწყობა სპორტის ყველა სახეობის წარმომადგენელთა სასწავლო-საწვრთნელი შეკრებები, შეჯიბრებები.

სათამაშოდ გამოვიყვანეთ ძირითადი შემადგენლობა. ავადმყოფობის შემდეგ მინდორზე გამოვიდა ს. მეტრეველიც. მაყურებელთა რიცხვი დაახლოებით 20 000-ს უდრიდა. ჩვენი მოწინააღმდეგე „ასპო"-ს გუნდი იყო. პირველი 35 წუთი დინამოელებს გაუჭირდათ. კამბოჯელი ფეხბურთელები ტანმომცრონი არიან, მაგრამ მეტად მოძრავი, სწრაფი და შრომისმოყვარე ხალხია. მინდორზე მათი გაჩერება არაა. თამაშის პირველი ნახევრის ბოლოს ჩვენმა „მოხეტიალე" მცველმა ხურცილავამ 2 ბურთი გაიტანა, მეტრეველმა — 1. მეორე ნახევარი სანახაობრივად უფრო საინტერესო გამოდგა, თამაში მოვიგეთ დიდი უპირატესობით — 6:0.

გავიდა ერთი დღე და მეორე შეხვედრა ჩავატარეთ კამბოჯის ნაკრებთან. მოვიგეთ ეს მატჩი — 3:0.

უნდა ითქვას, რომ ამ დროისთვის, ე. ი. კამბოჯაში ჩასვლის მესამე-მეოთხე დღეს ჩვენი ფეხბურთელების აკლიმატიზაცია დასრულდა, მათი შრომისუნარიანობა თითქმის დაუახლოვდა ჩვეულებრივს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორ კაცს, რომლებსაც ჯერ კიდევ მაღალი სიცხე ჰქონდათ. გამოდის, რომ მწვავე აკლიმატიზაციის პერიოდში სპორტსმენთა შრომისუნარიანობაზე მთავარ გავლენას ახდენს სიმაღლის ფაქტორი. გავიხსენოთ, რომ გარემოსი და კლიმატის მსგავსი შეცვლა ერთი დღეღამის განმავლობაში, 12.000 კილომეტრის გავლა ზამთრის პერიოდიდან ზაფხულის სიცხეში მოხვედრით, სადღეღამისო დროის 6-7 საათით შეცვლას ადგილი ჰქონდა 1963 წელსაც, ბოლივიასა და ეკვადორში მგზავრობის დროს, მაგრამ მაშინ ვიმყოფებოდით ზღვის დონიდან 3. 800 მეტრის სიმაღლეზე და სპორტსმენთა ცხოველმყოფელობაც მოლიანად მოშლილი იყო. მათი შრომისუნარიანობა პირველ დღეებში თითქმის ნოლამდე, დაეცა და ორი კვირის შემდეგაც არ იყო დამთავრებული მწვავე აკლიმატიზაციის ხანა.

ამჯერად, კამბოჯაში ყოფნისას, თითქმის მსგავს გადაადგილებას ჰქონდა ადგილი, მაგრამ გამორიცხული იყო სიმაღლის ფაქტორი და სწორედ ამან განაპირობა ის, რომ სპორტსმენები თავიანთ ჩვეულებრივ შრომისუნარიანობას უკვე მესამე-მეხუთე დღისთვის დაუბრუნდნენ.

პნომ-პენი მწვანეში ჩაფლული ლამაზი ქალაქია. შენობები გემოვნებითაა ნაგები, მაგრამ მაშინვე თვალში გვეცემათ მკვეთრი განსხვავება მდიდართა და ღარიბთა უბნებს შორის. ქალაქში წამყვან ტრანსპორტს წარმოადგენს ველოსიპედი და რიკშა-ველოსიპედისტები. ალბათ, სწორედ ამიტომაა მთელი ქალაქი მოფენილი ველოსიპედების სავაჭროებით და მათი შემკეთებელი სახელოსნოებით. მიუხედავად იმისა, რომ რიკშის შრომა ამ საშინელ სიცხეში აუტანელია, ყველაზე იაფ ტრანსპორტად პნომ-პენში მაინც იგი ითვლება. ადგილობრივ მცხოვრებთა სასაუბრო ენა კჰმერული ენაა, თუმცა ძირითად მცხოვრებთა მასას ჩინელები წარმოადგენენ მოდიხარ ქუჩაში და გარშემო, როგორც წესი, გხვდებიან პატარა ტანის, გამხდარი ადამიანები, ამიტომ ჩვენი ფეხბურთელები ყველგან შესამჩნევად გამოირჩეოდნენ. ო. ქორქიას, რ. ურუშაძეს და ფ. კანთელაძეს კი ქუჩებში ბავშვების გროვა დასდევდა, როგორც გოლიათებს.

10 დეკემბერს მესამე მატჩი ჩავატარეთ კამბოჯის ნაკრებთან. მსაჯი თავიდანვე განწყობილი ისე იყო, რომ რაც შეიძლება შეეწყო ხელი კამბოჯელთათვის. ეს დახმარება იმით დამთავრდა, რომ მან სრულიად არაფრისთვის ორი პენალტი დანიშნა თბილისის „დინამოს" კარში. პირველზე ხმა არ ამოგვიღია, მეორე პენალტის დანიშვნა კი ვერ მოითმინეს ჩვენმა ფეხბურთელებმა და მსაჯს პროტესტი განუცხადეს. ურუშაძემ დატოვა კარი, მის მაგივრად კი იქ ხურცილავა ჩადგა. ერთხანს აირია ყველაფერი, მაგრამ დინამოელებმა მალე დაძლიეს წუთიერი აღელვება, მეკარეც დაუბრუნდა თავის ადგილს, მაგრამ პენალტის შესრულებისას იგი არც განძრეულა. მსაჯის მოქმედება იმდენად უკანონო იყო, რომ მაყურებლებმა პროტესტის ნიშნად ყვირილი გამართეს, ხოლო ლოჟაში მჯდომმა კამბოჯის პრინცმა სულაც დატოვა სტადიონი. თამაში მოვიგეთ ანგარიშით 4:2.

მეორე დღეს წავედით ისტორიულ სამლოცველო ქალაქ ანგკორის დასათვალიერებლად. მოგვიხდა 300 კილომეტრის გავლა ავტობუსით. მთელ მანძილზე, გზის ორივე მხარეს, ქოქოსის პალმებში ჩაფლული სახლებია, რომლებიც ძალზე ჰგვანან იმერულ ოდასახლებს. ეზოების წინ, გზის გასწვრივ, როგორც წესი, ყველას გაკეთებული აქვს 4-5 მეტრი სიგრძე-სიგანის თხრილები წყლის გუბურებით. წყალი მღვრიეა და ლაფიანი, მაგრამ შიგ მოშენებული ჰყავთ თევზები. ეს ამბავი ხელს არ უშლის ბავშვებს თავისუფლად იბანაონ. სანამდეც თვალი წვდება, მთელი მიდამო ბრინჯის ყანებითაა დაფარული.

წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე ანგკორამ, რომლის შენება დაუწყიათ VI საუკუნეში და XI საუკუნეში დაუმთავრებია მეფე ჯაივარდის. იგი ჯუნგლებში გადაჭიმულია 19 კმ სიგრძისა და 3-5 კმ სიგანის ფართობზე. ამ ტერიტორიაზე გაფანტულია ქვით ნაშენი ბუდას უამრავი სამლოცველოები. კიდევ უფრო საინტერესოა მეფის სასახლე, რომელიც დროთა განმავლობაში მიწას დაუფარია და ზემოდან ვეებერთელა ტროპიკული მცენარეები გაზრდილან. XVI საუკუნეში ეს ქალაქი აღმოუჩენიათ ფრანგებს, არქეოლოგიური გათხრებიც უწარმოებიათ და უზარმაზარი სასახლე ახლაც პირვანდელი სახით დგას განსაცვიფრებელი დარბაზებით, სვეტებით, ბუდათა ქანდაკებებით, საცურაო აუზებით. ქალაქის დეტალურ დათვალიერებას, ალბათ, ერთი თვეც დასჭირდებოდა, მაგრამ რაც ვნახეთ, ისიც განცვიფრებას იწვევს. კიდევ უფრო საინტერესო სანახაობაა ანგკორას აკადემია, ბიბლიოთეკები. იგი ჯუნგლებისგან განცალკავებულია ხელოვნური ტბით, რომელზეც ქალღმერთების ქანდაკებებით დამშვენებული 300 მეტრამდე სიგრძის ქვის თლილი ხიდია გაჭიმული. აკადემიის წინ ორივე მხარეს ბიბლიოთეკის დანგრეული შენობებია, შემდეგ კი თლილი ქვით ნაშენი 70-80 მ სიმაღლის სასახლე. კედლები მთლიანად მოხატულია მაშინდელი ყოფის ამსახველი სურათებით, დარბაზები სავსეა ბუდათა ქანდაკებებით. ეს ვეებერთელა ტაძარი აშენებულია ქვების მშრალი წყობით, რაიმე საშენი ხსნარის გამოუყენებლად. საოცარი რამაა.

14 დეკემბერს სინგაპურში ჩავფრინდით. ეს პატარა ქალაქი-სახელმწიფო ასეული კუნძულითაა გარშემორტყმული. მის ნავსადგურებში ათასობით გემი დგას სხვადასხვა სახელმწიფოთა ალმებით. სინგაპურის ძირითადი მაცხოვრებლები ჩინელებია. ყველა სავაჭრო და მნიშვნელოვანი ნაგებობანი აქ მათ ეკუთვნით. სინგაპურში უამრავი ავტომანქანა და ტაქსია, მაგრამ რიკშა- ველოსიპედისტებს სიიაფით მაინც ვერაფერი ცვლის. სინგაპურში, როგორც ჩანს, ახლა იწყება მთლიანი რეკონსტრუქცია, ანგრევენ ქოხმახებს და მათ ადგილას მრავალსართულიან შენობებს აგებენ, მაგრამ მშენებლობა იმდენად ნელი ტემპით მიმდინარეობს, რომ ალბათ, ბევრი ხანი დაჭირდება ამ ღონისძიების განხორციელებას. სინგაპურელთა ძირითადი საქმიანობა ვაჭრობაა. აეროდრომზე ჩასვლისთანავე მოგვიწყეს პრესკონფერენცია, დაგვხვდნენ ერთ-ერთი მინისტრი და სპორტის მოღვაწენი. საუბარში გამოითქვა რწმენა, რომ ჩვენი ჩასვლა ხელს შეუწყობდა სინგაპურში ფეხბურთის თამაშის კლასის ამაღლებას.

პირველი მატჩის დღეს დილიდანვე წვიმდა, ამიტომ თამაშს მაყურებელი თითქმის არ დასწრებია. ამ გარემოებამ ჩვენს ფეხბურთელებზე საგრძნობლად იმოქმედა და, თუმცა, თამაში მოვიგეთ ანგარიშით 5:1, დინამოელები უხალისოდ თამაშობდნენ. გაზეთებმა საუკეთესო რეცენზიები გამოაქვეყნეს და ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ მეორე მატჩზე სტადიონი თითქმის სავსე იყო. ამით გამხნევებულმა თბილისელებმა თამაში მოიგეს დიდი განსხვავებით 10:1. მოთამაშეთა დიდი ნაწილის ავადმყოფობისა და ტრავმების გამო მინდორზე გამოვიდა ბარქაია, რომელმაც თავისებურად, ძალზე კარგად ჩაატარა შეხვედრა.

მესამე თამაშისთვის სინგაპურელები საგულდაგულოდ მოემზადნენ და ჩვენს წინააღმდეგ გამოიყვანეს ინგლისელ მეზღვაურთა ძლიერი გუნდი. ათლეტური აღნაგობის ინგლისელი ფეხბურთელები მინდორზე დიდი რიხით გამოვიდნენ. მათ აღაფრთოვანებდა ინგლისელ მაყურებელთა სიმღერები და ტრანსპარანტები ტრიბუნებიდან. ამ თამაშზეც იძულებითი შემადგენლობა გამოვიყვანეთ. ვ. ბარქაია ეტყობა „ფორმაში" შევიდა წინა თამაშში და ზედიზედ 3 ბურთი გაიტანა. მატჩი მოვიგეთ ანგარიშით 3:0. გაზეთებმა დიდი ადგილები დაუთმეს საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვებას, აღნიშნავდნენ მათ მაღალ კლასს.

შინ გამომგზავრება ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტიდან მოგვიხდა, სადაც 4 დღე დავყავით. ადგილობრივ ხელმძღვანელებს შევთავაზეთ თამაში, მაგრამ საახალწლო დღესასწაულები იყო და მათ ვერ მოახერხეს მატჩის ორგანიზება.

24-დღიანი დამქანცველი მგზავრობის შემდეგ ჩამოვედით სამშობლოში. კამბოჯაშიც და სინგაპურშიც ბევრი საინტერესო, დაუვიწყარი რამ ვნახეთ, მაგრამ წმინდა სპორტული თვალსაზრისით რომ ავიღოთ, ამ მატჩებმა მასპინძლებს მეტი სარგებელი მოუტანა, ვიდრე ჩვენ.

გ. ჩოხელი,
თბილისის „დინამოს" უფროსი მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ზ. თელია,
თბილისის „დინამოს" ექიმი.

სამგზის ჩემპიონები

◆

თბილისის 1968 წლის პირველობა ფეხბურთში

◆

დიდხანს გაგრძელდა თბილისის 1968 წლის საფეხბურთო ჩემპიონატი. ადრე გაზაფხულზე დაწყებულმა მატჩებმა ზამთარს მიატანა.

განსაკუთრებით დაძაბულად მიმდინარეობდა II წრის შეხვედრები პირველი ჯგუფის გუნდებს შორის. საერთო გამარჯვებისთვის ბრძოლა მიმდინარეობდა ავტოსარემონტო ქარხნის, № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის, სპორტკლუბ „უშბის", № 3 მსუბუქი ტაქსოსამოტორო კანტორისა და მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" ფეხბურთელთა შორის.

1966-67 წლების თბილისის ჩემპიონებმა, კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" წარმომადგენლებმა დიდი აღმავლობით ჩაატარეს გადამწყვეტი შეხვედრები მთავარ მეტოქეებთან, დაამარცხეს ისინი და ზედიზედ მესამედ მოიპოვეს რესპუბლიკის დედაქალაქის პირველობის საუკეთესო გუნდის წოდება.

საყურადღებოა, რომ ეს ამ კოლექტივის მესამე წარმატებაა წელს: მას უკვე ეკუთვნის სეზონის გახსნის პრიზი გაზეთ „ვეჩერნი თბილისის" პრიზი და პირველი ადგილი საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის სპარტაკიადის გათამაშებაში.

საფეხბურთო მინდორზე მოპოვებულ წარმატებებს კომბინატის ფეხბურთელები მჭიდროდ უკავშირებენ შრომით მიღწევებს. გუნდის საუკეთესო ბომბარდირია ინჟინერი რ. აბაზაძე, კომუნისტური შრომის დამკვრელია მ. ბეხმეტიევი, კარგი საწარმოო მაჩვენებლები აქვთ ო. ტრანკაძეს, ნ. ლონდარიძეს, გ. სოლოღაშვილს, გ. ბერიძეს, ს. ნაჭყებიას, ო. ბაჩიაშვილს, დ. ფოფხაძეს, ო. კობჩიკს და სხვებს.

ენერგიის დაუზოგავად მუშაობს კომბინატის ფეხბურთელებთან მწვრთნელი რ. მამაჯანოვი. დიდი ხანია იგი თავის ცოდნასა და გამოცდილებას ახმარს მშობლიური კოლექტივის წარმატებებს.

კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" ფეხბურთელები მზად არიან მომავალშიც ასეთი მონდომებით იბრძოლონ წარმატებათა შენარჩუნებისთვის.

ბ. კოვალიოვი.

მ. ადეიშვილის მემორიალი

ოთხი წლის წინათ ნაძირალების ხელით ტრაგიკულად დაიღუპა ნიჭიერი ქართველი მოფარიკავე, სპორტის ოსტატი მალხაზ ადეიშვილი. მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი თასის გათამაშება სულ უფრო პოპულარული ხდება და ჩვენი ქვეყნის ცნობილ სპორტსმენებს იკრებს. ამას წინათ „ბურევესტნიკის" სპორტულ დარბაზში გაიმართა ამ თასის მესამე გათამაშება.

თასი სახვაძემ შეინარჩუნა

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ საფარიკაო ბილიკის შესანიშნავი ოსტატები, მეხიკოს XIX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები, სპორტის დამსახურებული ოსტატები მ. რაკიტა (მოსკოვი) და ვ. ნაზლიმოვი (მახაჩყალა), თასის წინა გათამაშებაში გამარჯვებული, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი მ. სახვაძე, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი იუნიორებში გ. ლორთქიფანიძე და სხვები.

მემორიალის 21 ესპადრონისტი განაწილებული იყო 3 ქვეჯგუფში, ხოლო 3-3 გამარჯვებული ბრძოლას განაგრძობდა ფინალში.

ფინალში ფავორიტებად თავიდანვე აღიარეს მ. რაკიტა, მ. სახვაძე, ვ. ნაზლიმოვი და გ. ლორთქიფანიძე. ეს ვარაუდი სავსებით დადასტურდა. საპატიო თასისთვის ბრძოლის ბედი ძირითადად სწორედ ამ კვარტეტის შეხვედრებმა გადაწყვიტა

შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა თ. ისლამოვმა (სხვათა შორის, იგი თავის დროზე მ. ადეიშვილის მასწავლებელი იყო) საფარიკაო ბილიკზე მოუხმო მ. სახვაძესა და გ. ლორთქიფანიძეს. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვა პირველმა — 5:2. შემდეგ ორთაბრძოლაში ჩაებნენ მ. რაკიტა და ვ. ნაზლიმოვი. დაწინაურდა ნაზლიმოვი, რომელმაც შეხვედრა ძალზე აქტიურ სტილში დაიწყო და ანგარიში გახდა 3:0 მის სასარგებლოდ. მაგრამ მრავალ ბრძოლაში ნაცადი და ბევრის მნახველი რაკიტა როდი დაიბნა: მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჯერ გაათანაბრა ანგარიში — 3:3, შემდეგ გაიმარჯვა კიდეც — 5:3. ასეთივე შედეგით დამარცხდა ვ. ნაზლიმოვი მ. სახვაძესთან.

და აი, საფარიკაო ბილიკზე ერთმანეთის პირისპირ დადგნენ შეჯიბრების ლიდერები მ. სახვაძე და მ. რაკიტა. დასაწყისშივე დაწინაურდა მასპინძელი — 3:1, 4:1. ბრძოლა თითქოს მოგებულიცაა— სახვაძის ერთი ჩხვლეტა კმარა, რომ თასი მომავალ გათამაშებამდე თბილისში დარჩეს. მაგრამ რაკიტა რის რაკიტაა, თუ ასეთ სიტუაციაში დაიბნა და მეტოქეს იოლი გამარჯვების იმედი არ გაუქარწყლა. მართლაც, მან შეძლო თითქოს უიმედო ბრძოლის გაყაიმება — 4:4. მაგრამ ამან იმდენი ენერგია წაიღო, რომ გადამწყვეტი ჩხვლეტის მიყენებისთვის რაკიტას ძალა აღარ ეყო და სახვაძემ დამსახურებულად შეინარჩუნა თასი. II ადგილზე დარჩა რაკიტა, III ადგილზე გავიდა გ. ლორთქიფანიძე.

სასურველია მალხაზ ადეიშვილის მემორიალში უცხოელი დიდოსტატებიც მონაწილეობდნენ. ეს ერთი-ორად გაზრდის შეჯიბრების ავტორიტეტს.

ა. ცეხანელი.

• • •

სურათზე: მ. სახვაძისა და მ. რაკიტას ორთაბრძოლის მომენტი.

ფოტო ბ. გიგაურისა.

სამ სახეობაში

ამ დღეებში ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის კათედრამ და სპორტულმა კლუბმა ფაკულტეტებს შორის მოაწყვეს შეჯიბრება კალათბურთში, ფრენბურთსა და ხელბურთში.

პირველად ასპარეზობაში ფრენბურთელები ჩაებნენ. გაიმარჯვეს საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიის ფაკულტეტის ქალთა და ვაჟთა გუნდებმა. ხელბურთელ ქალთა შეჯიბრებაში პირველობა არავის დაუთმო ფილოლოგიის ფაკულტეტმა, ვაჟთა ტურნირში საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიის ფაკულტეტმა. კალათბურთში ყველას აჯობეს ისევ საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიის ფაკულტეტის ქალთა და ვაჟთა გუნდებმა.

შ. ნიჟარაძე,
(ჩვენი კორ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტი გაზომვით იწყება

დიდმა რუსმა ქიმიკოსმა დ. მენდელეევმა ერთხელ თქვა: მეცნიერება ზომებით იწყებაო. იგივე შეიძლება ითქვას სპორტზე.

მაგრამ ვიდრე იმაზე დავიწყებთ ლაპარაკს, როგორ ისწავლეს ადამიანებმა თავიანთი ძალის, მოქნილობისა და ამტანობის გამოთვლა და გაზომვა, გავიხსენოთ, როგორ გაჩნდა გაზომვა საერთოდ. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ ამ სისტემის წარმოშობა რამდენადმე სპორტთანაა დაკავშირებული.

ძველ დროში ყოველ ხალხს თავისი, ზოგჯერ საოცარი საზომები ჰქონდა. არაბებისთვის, მაგალითად, სიგრძის ეტალონად მილი ითვლებოდა. უძველესი ხელნაწერები გვიხსნიან: არაბული მილი 1000 იდაყვს უდრის, იდაყვი—8 მუშტს, მუშტი — 4 თითს, თითი — 8 ქერის მარცვალს. მარცვალი უდრის 6 ზომას, რომელთაგან თითეული... ვირის თავის ბეწვის სისქისაა. აი, რა სიზუსტეა!

ძველ დროში რუსეთში სიგრძის საზომი „იდაყვი" იყო. ინგლისელები დღესაც იარდებითა და ფუტებით ანგარიშობენ. იარდს ძალიან საინტერესო ისტორია აქვს. გადმოცემით, ესაა მანძილი მეფე გიორგი II ცხვირის წვერიდან მისი გაწვდილი ხელის მტევნის ბოლომდე. „ფუტი" ინგლისურად „ფეხს" ნიშნავს. და მართლაც, ინგლისური ფუტი დაახლოებით ფეხის ტერფის სიგრძეს უდრის. ეს ზომა ინგლისელებმა ალბათ ძველი ბერძნებისგან ისესხეს, რომლებიც ამ მანძილით რბენაში შეჯიბრების დისტანციას ზომავდნენ.

გადმოცემით, ძველი ოლიმპიური თამაშების ფუძემდებელმა ჰერაკლემ თავად მონიშნა ოლიმპოში დისტანცია მორბენლებისთვის. ეტალონად მან საკუთარი ტერფი გამოიყენა. მისი ტერფის 600-ჯერ გამეორებული ზომით შედგა რბენის ძირითადი დისტანცია — სტადია. ძველბერძნული სტადია განუსაზღვრელი იყო — 174-დან 230 მეტრამდე. ეს იმით აიხსნება, რომ ყოველ ქალაქს თავისი სტადია ჰქონდა. სარბენ ბილიკს თავისი ტერფით ზომავდა ქურუმი იმ ქალაქისა, სადაც ასპარეზობა ტარდებოდა.

გავიდა საუკუნეები. ადამიანებმა დაივიწყეს, რომ მანძილი ოდესღაც ტერფით იზომებოდა. გაჩნდა მეტრული სისტემა, მაგრამ „სტადია" მრავალი ხალხის ენამ შემოინახა სიტყვაში „სტადიონი".

რუსეთში მეტრებით გაზომვა პირველად გასული საუკუნის მიწურულს შემოიღეს. და ამაში დიდი როლი შეასრულა სპორტმა. საქმე ისაა, რომ 1896 წლის I ოლიმპიურ თამაშებში სპორტულ შედეგებს უკვე მეტრებით ზომავდნენ. ეს სიახლე მოიწონეს და იგი თანდათან დაინერგა ყველა ქვეყანაში.

მანძილის გაზომვის დროს თავდაპირველად განსაკუთრებულ სიზუსტეს არ იცავდნენ. მეტრით მეტი, მეტრით ნაკლები — რა მნიშვნელობა ჰქონდა, როცა მორბენალთა თუ მოცურავეთა შეჯიბრებაში შედეგებს ადამამინდელი საათებით საზღვრავდნენ.

ახლა სულ სხვა საქმეა. ჩვენ გასაოცარი სიზუსტის საუკუნეში ვცხოვრობთ. აბსოლუტური სიზუსტე აუცილებელია არა მხოლოდ ჩარხზე დეტალების დამუშავებისას, არამედ სპორტულ ნაგებობათა მშენებლობის დროსაც. სარბენი ბილიკის სიგრძე ზუსტად 400 მეტრი უნდა იყოს, საცურაო აუზისა 50 ან 25 მეტრი.

ერთხელ. ლუჟნიკის სპორტული კომპლექსის მშენებლობის დროს, საინტერესო შემთხვევა მოხდა. კომისიამ, რომელმაც საცურაო აუზი ჩაიბარა, აღმოაჩინა, რომ ბილიკები ნავარაუდევზე მოკლე იყო. აკლდა მხოლოდ 1 სანტიმეტრი. დიდი ამბავი: სანტიმეტრი, ფრჩხილის სიგრძე! მიუხედავად ამისა, დაკლებული სანტიმეტრის მოსაძებნად ლენინგრადიდან ჩამოიტანეს საგანგებო საზომი, აუზის აბაზანა კვლავ გულდასმით გადაზომეს და ბილიკებს დაკარგული სანტიმეტრი დაუბრუნეს.

სპორტული მსაჯები სიმაღლისა და სიგრძის გასაზომად ბევრ რთულ ტექნიკურ ხელსაწყოს იყენებენ. ამ გზით შეიძლება დაზუსტდეს თვალით უხილავი მანძილი სპორტსმენებს შორის, რომლებიც ფინიშთან თითქმის ერთდროულად მიდიან. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს, რათა წარმოიდგინოთ, რა მცირე ზომებთან აქვთ საქმე ზოგჯერ მსაჯებს.

სპორტული გამარჯვებისა თუ რეკორდის ბედი ხშირად დამოკიდებულია რამდენიმე სანტიმეტრსა და გრამზე, წამის მეასედებსა და მეათასედებზეც. ქ. მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში ჩვენს მტყორცნელს რომუალდ კლიმს სულ 8 სმ დააკლდა ოქროს საზღვრამდე და ჩემპიონი გახდა უნგრელი დ. ჟივოცკი.

მეორე მაგალითი: 1909 წელს სამხტომში მსოფლიო რეკორდს 15 მ და 52 სმ შეადგენდა. გავიდა მთელი 15 წელი, ვიდრე რეკორდი სულ... 0,5 სმ-ით გაუმჯობესდებოდა.

რა არის წამი? ბევრისთვის ეს სისწრაფის სინონიმია, სპორტსმენებისთვის კი მთელი საუკუნე გახლავთ. წამის მეოთხედში სარბოლო ავტომანქანა 20 მეტრს გაივლის, ველოსიპედისტი — 5, სპრინტერი — 2.5 მეტრს. რეკორდის სულ ერთი წამით გაუმჯობესებას ზოგჯერ ათობით წელიწადი, რამდენიმე თაობის შრომა სჭირდება. გაიხსენეთ, 1936 წელს ჯესი ოუენსმა რეკორდი დაამყარა 100 მეტრზე რბენაში — 10,2 წამი. ამ რეკორდმა ორი ათეული წელიწადი გაძლო და მხოლოდ წამის მეათედით გაუმჯობესდა 1956 წელს.

მრავალი ქვეყნის სპრინტერებმა მრავალგზის გაიმეორეს მსოფლიო რეკორდი 100 მეტრზე, რამდენჯერმე გააუმჯობესეს იგი და ბოლოს 9,9 წამამდე აიყვანეს. ეს შედეგი აჩვენა მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში ამერიკელმა ზანგმა ჯიმ ჰაინსმა. ამ შედეგის აბსოლუტური სიზუსტე ეჭვს არ იწვევს. საქმე ის არის, რომ ამას ამოწმებდნენ არა მსაჯები, რომელთაც რეაქცია ყოველი სხვა ადამიანივით ცოტა შენელებული აქვთ, არამედ განსაკუთრებული მაფიქსირებელი მოწყობილობანი.

დროის გამოთვლის თანამედროვე ტექნიკა მსაჯებს დახმარებას უწევს არა მხოლოდ მძლეოსნურ შეჯიბრებებში, არამედ ველორბოლის ტრასებზეც, საცურაო ბილიკებზეც, ნიჩბოსანთა შეჯიბრებაშიც.

ლიუდმილა პინაევამ, რომელმაც მეხიკოში ოქროს მედალი მოიპოვა ერთადგილიანი ბაიდარით ნიჩბოსნობაში, უნგრელ სპორტსმენთან სულ 0,01 წამით წააგო თავის მეწყვილე ა. სერედინასთან ერთად. წამის ამ მეასედის აღნუსხვა ჩვეულებრივი წამმზომით, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იქნებოდა.

ადრე ცურვაში შეჯიბრების დროს ბევრი გაუგებრობა ხდებოდა იმის გამო, რომ მსაჯები საკმაო სიზუსტით ვერ განსაზღვრავდნენ დროს. ზოგჯერ ხდება, რომ რამდენიმე მოცურავე ფინიშთან თითქმის ერთდროულად მიდის. როგორ გამოვარკვიოთ გამარჯვებული? მორბენალთა შეჯიბრების დროს ასეთ შემთხვევაში საქმე მარტივად წყდება—კინოაპარატის დახმარებას მიმართავენ. მოცურავეებთან საქმე სხვაგვარადაა: ტალღები და შხეფები ფინიშთან ბრძოლის გადაღების საშუალებას არ იძლევა. მეცნიერებმა გამოსავალს მიაგნეს. მათ შექმნეს სპეციალური დანადგარი, რომელიც ავტომატურად აღრიცხავს მოცურავეთა შედეგებს ყველა ბილიკზე, სასტარტო პისტოლეტის გასროლა რვავე წამმზომს ამუშავებს. როგორც კი ფინიშთან მისული სპორტსმენი მაღალი მგრძნობელობის სპეციალურ ხელსაწყოს შეეხება, ჯაჭვი ჩაიკეტება, გაჩნდება სიგნალი და წამმზომი ავტომატურად ჩერდება. ამ დროს სინათლის ტაბლოზე სასიგნალო ნათურა ინთება. ასე გებულობენ, რომელი მოცურავე მივიდა პირველი ფინიშთან და რა შედეგი აჩვენა.

თანამედროვე ტექნიკა უკვე იძლევა საშუალებას რეკორდები წამის მეასედების სიზუსტით აღინუსხოს. სხვათა შორის, ამ გზას ველორბოლებში მიმართავენ. ამას წინათ სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ მიიღო გადაწყვეტილება წამის მეათასედებში გამოთვლილი შედეგებიც კი აღნუსხოს სწრაფდაშვებაში, სლალომსა და გიგანტურ სლალომში.

აქამდე ვლაპარაკობდით სანტიმეტრებსა და წამებზე. როგორღაა საქმე ძალოსნობაში, სადაც, როგორც ცნობილია, ოსტატობა დაძლეული წონის კილოგრამებით იზომება?

აქ ბევრჯერ ხდება, რომ რეკორდისა და ოქროს მედლის ბედი დამოკიდებულია არა კილოგრამებზე, არამედ ძალოსანთა საკუთარი წონის ზედმეტ გრამებზეც.

მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში ასეთი შემთხვევა მოხდა: ჩვენმა ყველაზე ძლიერმა საშუალო წონის ათლეტმა ბორის სელიცკიმ და ვლადიმერ ბელიაევმა მსოფლიო რეკორდები გაიმეორეს ერთნაირი შედეგით — 485 კგ. როგორ დაადგინეს გამარჯვებული? სპორტსმენები აწონეს. სელიცკი მეტოქეზე 300 გრამით მსუბუქი აღმოჩნდა. მას მიაკუთვნეს ოქროს მედალი და ოლიმპიური ჩემპიონის წოდება.

გვაგონდება მეორე, კიდევ უფრო განსაცვიფრებელი შემთხვევა. მელბურნის ოლიმპიურ თამაშებში მჩატე წონაში ერთმანეთს შეხვდნენ ძველი მეტოქეები — ამერიკელი ვინჩი და ირანელი ნამდიუ.

როცა შეჯიბრების დღეს, დილით, ასაწონად მივიდნენ, სპორტსმენებმა შეიტყვეს, რომ თავისი წონითი კატეგორიისთვის ოდნავ მეტს იწონიდნენ. ფიცარნაგზე გამოსვლამდე ერთი საათი რჩებოდა. სასწრაფოდ უნდა „გამხდარიყვნენ".

უნდა გენახათ, როგორ დარბოდნენ და ხტუნავდნენ, რომ ზედმეტი გრამებისგან დაეხსნათ თავი. მაგრამ სასწორი ულმობლად უჩვენებდა ნამდიუს 50, ვინჩის კი 20 ზედმეტ გრამს.

მაშინ ნამდიუმ გადაწყვიტა თმა მოეკრიჭა და ამით 7 გრამი მოიგო, მაგრამ დანარჩენი 43 გრამისთვის რაღა ექნა? სასოწარკვეთილი ირანელი ჩაცუცქდა და ფურთხება დაიწყო. ვინჩიმ ნამდიუს მაგალითს მიბაძა და იმანაც გაიმეტა თავისი მშვენიერი ქოჩორი. როცა ფიცარნაგზე გასვლის წინ სპორტსმენები კვლავ აწონეს, სასწორმა თითქოს მოწყალება მოიღო და ზუსტად 56 კგ უჩვენა.

ა. სვეტოვი.

ყოველი მხრიდან

იყიდება აუქციონით

რას არ ყიდულობენ ოკეანესგაღმელები ევროპაში, კერძოდ, ინგლისში. ინგლისელ გვაროვანთა გაღატაკებული შთამომავლები ყიდიან ძველებურ სასახლეებს, უფულოდ დარჩენილი მაგისტრატები ხიდებითა და შადრევნებით ვაჭრობენ. ახლა რიგი ფეხბურთზე მიდგა. ამერიკელებმა გადაწყვიტეს ეყიდათ ბირმინგემის ცნობილი კლუბი „ასტონ ვილა", რომელსაც ფული უჭირს. ინგლისის სპორტული საზოგადოებრიობა აღელდა. გაზეთები წერენ, რომ თავისი არსებობის მანძილზე ინგლისური ფეხბურთისთვის ასეთი შეურაცხყოფა არავის მიუყენებია. ბრიტანეთის საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტმა ლენ შიპმენმა განაცხადა:

„ჩვენთვის დიდი სირცხვილი იქნება, ამერიკულმა სინდიკატმა რომ ჩაიგდოს ხელში ისეთი ძველი, მდიდარი ტრადიციების მქონე კლუბი, როგორიცაა „ასტონ ვილა".

„ასტონ ვილასთან" ინგლისური ფეხბურთის ბევრი სახელოვანი ფურცელია დაკავშირებული. პირველი მსოფლიო ომის წინ კლუბი ექვსჯერ იყო ქვეყნის ჩემპიონი და ოთხჯერ მოიპოვა ბრიტანეთის კუნძულების თასი. 1957 წელს გუნდმა თასისთვის ბრძოლაში ბოლო წარმატებას მიაღწია; მას შემდეგ კლუბის საქმეები უკან-უკან წავიდა, წლინახევრის შემდეგ კი მატერიალური მიზეზებით იგი მეორე ლიგაში გადავიდა. ახლახან ამავე მიზეზით მოხსნეს მენეჯერი ტ. კამინგსი, რომელსაც მეტისმეტად დიდი ხელფასი ჰქონდა.

ამერიკაში სწორედ ამ დროს გამოჩნდა მყიდველი. ბეისბოლის მსხვილი კორპორაციის „ატლანტა ბეისბოლ კორპორეიშენის" დირექტორმა დიკ კესლმა გამოთქვა სურვილი თავის თავზე აელო „ასტონ ვილასთან" დაკავშირებული ბიზნესი და განეხორციელებინა იგი „ამერიკული პრინციპების მიხედვით, ამერიკული ფულით". კესლი იყო „ამერიკაში ევროპული ფეხბურთის დანერგვის" თაოსანი. მისი გუნდი „ატლანტა ჩიფსი" ჩრდილოეთ ამერიკის პირველი და უკანასკნელი ჩემპიონია. როცა გამოირკვა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ბიზნესი ჩაიფუშა, კესლიმ გადაწყვიტა ინგლისური ფეხბურთით გასულიყო ფონს. ადრე იგი ევროპაში ცალკეულ მოთამაშეებს ყიდულობდა, ახლა კი გადაწყვიტა, რომ მთელი კლუბის ყიდვა უფრო ხელსაყრელია. ერთადერთმა ინგლისელმა, რომელსაც „ასტონ ვილას" ყიდვა სურდა, მესამე კლასის კლუბის „უოლსოლის" მფლობელმა რ. გარისონმა უკვე თქვა: მე ვერ შევძლებ, რომ სიუხვეში ამერიკელებს შევეჯიბროო.

● ●

ნაცნობი „უცნობი"

ამ დღეებში ადის-აბებიდან მოვიდა ცნობა: იმპერატორმა სელასიემ ლეიტენანტობა უბოძა გვარდიის სერჟანტს მამო ვოლდეს. ამასთან დაკავშირებით სპორტულმა პრესამ გამოაქვეყნა წერილები გამოჩენილ სპორტსმენზე, რომელმაც სახელი გაუთქვა თავის ქვეყანას. დამახასიათებელია, რომ დასავლეთ პრესაში მამო ვოლდეს გამარჯვებას თითქმის მუდამ მოულოდნელს უწოდებენ. დასავლეთგერმანულმა ჟურნალმა „შტერნმა" ვოლდეს პირდაპირ უწოდა „ახალი უცნობი". მაგრამ მართლა ასე „უცნობია" სპეციალისტებისთვის მამო ვოლდე? მართლა შეიძლება უწოდო მის წარმატებას მოულოდნელი?

რამდენიმე სიტყვა თავად სპორტსმენზე. იგი დაიბადა 1932 წლის 12 ივნისს და ახლა აბებე ბიკილას ხნისაა. ტანად მამო 172 სმ-ია, იწონის 53 კგ-ს. „სპეციალისტები მუდამ გაკვირვებულნი არიან, როცა ჩემს ფიგურას აკვირდებიან, — ამბობს ვოლდე. — მიაჩნიათ, რომ მარათონელისთვის აუცილებელია ფეხის მძლავრი კუნთები, მე კი ამით არ გამოვირჩევი. რა თქმა უნდა, მეხიკოში ის დამეხმარა, რომ იქაც თითქმის ისეთივე მთის ჰაერით ვსუნთქავდი, როგორიც ჩემს სამშობლოშია. მაგრამ ოლიმპიურ თამაშებში ჩემი შედეგი საუკეთესო როდი იყო. სამშობლოში და სხვა ქვეყნებში უკეთ დავრბივარ ხოლმე".

ეს ტრაბახი არ გახლავთ. მამო ვოლდემ მარათონში ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა ამ შედეგით — 2:20,26,4. ამ დისტანციაზე კი სპორტსმენის საუკეთესო მიღწევაა 2:16.19,0. 10 ათას მეტრზე, როგორც ცნობილია, მამო ვოლდემ თავის ქვეყანას კიდევ ერთი მედალი მოუტანა — ვერცხლისა. და მისი შედეგი აქაც პირად რეკორდზე ნაკლები იყო (29.28,00 და 28.32,00).

საკითხავია, რომელ „ახალ უცნობზე" შეიძლება ლაპარაკი? მამო ვოლდეს სახით სპორტულ სამყაროს ჰყავს გამოჩენილი ათლეტი, რომელიც მუდამ მაღალ შედეგებს აღწევს.

როცა ჟურნალისტები ეკითხებიან, მეხიკოში რბენის დროს დაღლილობას ხომ არ გრძნობდიო, მამო გაოცებულია:

„თუ სპორტსმენს დაღლილობისა ეშინია და არ შეუძლია მისი დაძლევა, მან მარათონზე არც უნდა იფიქროს. მე 5 და 10 ათას მეტრზე დავრბივარ, მაგრამ ჩემი აზრით, მორბენლისთვის მარათონი არის აპოთეოზი, მისი ძალისა და შესაძლებლობების შემოწმება".

მამო მუდამ ოცნებობს მონაწილეობა მიიღოს 1972 წლის ოლიმპიურ თამაშებში და კვლავ წარმატებას მიაღწიოს მარათონში.

თასი — თბილისის გუნდს

გორში ჩატარდა საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის მიერ დაწესებული ნესტორ ესებუას სახელობის თასის გათამაშების ფინალური ასპარეზობა ქართულ ჭიდაობაში. ორი დღის მანძილზე ერთმანეთს ეასპარეზებოდნენ ზონებში გამარჯვებული დუშეთის, კასპის, თბილისის, გარდაბნისა და ქალაქ გორის ნაკრები კოლექტივები.

შეჯიბრება ჩატარდა ოლიმპიური სისტემით. სარბიელზე პირველად გამოვიდნენ გორისა და კასპის ფალავნები. ანგარიშით 7:1 გაიმარჯვეს გორელებმა. თბილისის გუნდმა პირველი ბრძოლა მოუგო დუშეთის ფალავანთა გუნდს.

ფინალის მეორე დღეს ერთმანეთის პირისპირ დადგნენ გარდაბნისა და გორის გუნდები. მასპინძლებმა სასტიკი დამარცხება (8:0) აგემეს გარდაბნელებს და ფინალში თბილისელებს შეხვდნენ. დასაწყისში უპირატესობას გორელები ინარჩუნებდნენ. ბევრი რამ იყო დამოკიდებული იაშვილ (გორი) — კახაბრიშვილის ორთაბრძოლაზე. გაიმარჯვა კახაბრიშვილმა და ამით თავის გუნდს გადამწყვეტი ქულა მოუტანა. აღსანიშნავია, რომ თბილისის ნაკრები ამ შეჯიბრებაში 7 მოჭიდავით გამოდიოდა.

ი. თევდორაშვილი,
(ჩვენი კორ.).

გორი.

• • •

სურათზე: თბილისის გუნდი — ესებუას სახელობის თასის მფლობელი. (მარცხნიდან) მწვრთნელი ბ. მაზიაშვილი, გ. ლომაშვილი, გ. კახაბრიშვილი, ა. მარგველანი, გ. დალაქიშვილი, ზ. გუტაშვილი, გ. ყაყიჩაშვილი, გ. გიორგაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველომ ყველას კარგი მაგალითი მისცა

გვესაუბრება ეფიმ გელერი

საერთაშორისო დიდოსტატი ე. გელერი, რომელიც ახლა მოსკოვში ცხოვრობს, 1953 წლიდან მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა ათეულში შედის. იგი 43 წლისაა. დამთავრებული აქვს ოდესის უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი და ასპირანტურა.

ღვაწლმოსილი დიდოსტატი მონაწილეობდა ვ. ქარსელაძის საჭადრაკო მემორიალში. გორში იგი პირდაპირ შეეიცარიიდან — XVIII საჭადრაკო ოლიმპიადიდან ჩამოვიდა. ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს, ვსაუბრობდით.

„ლელოს“ მკითხველებისთვის ალბათ უინტერესო არ იქნება გამოჩენილი მოჭადრაკის შეხედულებანი ჭადრაკსა და საჭადრაკო ცხოვრების სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე.

თ. გიორგაძე.

● **ვინაა თქვენი იდეალი ჭადრაკში?**

— არავინ. თამაშს ვსწავლობდი ძირითადად ალიოხინისა და ბოტვინიკის პარტიების მიხედვით. მუდამ ვცდილობდი ყველა სტილით მეთამაშა. ჩვენს დროში ეს აუცილებელია. ჩემი იდეალი — მრავალმხრივობაა.

● **როდის და ვინ გაზიარათ ჭადრაკს?**

— მამამ, როცა 7 წლისა ვიყავი. მაგრამ თამაშით სერიოზულად სამამულო ომის შემდეგ დავინტერესდი. მანამდე უფრო კალათბურთი მიტაცებდა.

● **მოჭადრაკის ზრდისთვის უმთავრესად რა მიგაჩნიათ?**

— თამაში და ანალიზი. მოჭადრაკემ ბევრი უნდა ითამაშოს. ოღონდ, რა თქმა უნდა იმდენი, კი არა, რომ ყელში ამოუვიდეს. თავისუფალ დროს ანალიზით უნდა იყოს დაკავებული.

დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ მოჭადრაკეთა მეგობრობას. ასე მგონია, ჩემი და ტიგრან პეტროსიანის წარმატებები ჩვენი შემოქმედებითი მეგობრობის შედეგი გახლავთ. 1949 წელს თბილისში გავეცანით და დავუახლოვდით ერთმანეთს. ათ წელზე მეტს ერთად ვაანალიზებდით პარტიებს, ვსწავლობდით დიდ კორიფეთა შემოქმედებას, ვდაობდით, ვთამაშობდით.

● **თქვენი ვაჟი საშა ახლა 8 წლისაა. ხომ არ ასწავლით თამაშს? მით უმეტეს, რომ თქვენისთანა მეგობარი ყველა მზარდი მოჭადრაკისთვის ოცნებაა.**

— ჯერ არა, თუმცა თვითონ თამაშობს ხოლმე, ზოგჯერ მეც მიწვევს მატჩში. არ ვასწავლი იმიტომ, რომ თითქმის არა ვარ შინ. ბევრს ვთამაშობ ტურნირებში. რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვიქნები, თუ იგი მამის გზას განაგრძობს.

● **ბოტვინიკი ამბობს, რომ დიდოსტატისთვის საკმარისია წელიწადში ორ-სამ ტურნირში მონაწილეობა.**

— სწორია. ჩვენში ახლა იმდენი შესარჩევი ტურნირი იმართება, ერთიც რომ გამოტოვო, ველარ იბრძოლებ მსოფლიო პირველობისთვის. ამ ბრძოლაზე ხელს ვერ ავიღებ. ამას გარდა დავრწმუნდი, რომ სპორტულ ფორმაში მხოლოდ მაშინ ვარ, როცა ბევრს ვთამაშობ, ამიტომ იშვიათად ვაცდენ ტურნირებს.

● **სპასკისთან მატჩში წაგებას რითი ხსნით? ნავარჯიშევი არ იყავით?**

— არა, თამაშში კარგად მომზადებული ჩავები. პარტიები ცუდი არ მქონია. წაგების მიზეზი თვით მატჩის ფორმულაა: 10 პარტია ძალზე ცოტაა დიდოსტატთა „ურთიერთობის“ გასარკვევად. ერთი პარტიის წაგებაც კი საერთო მარცხის მომასწავებელია. დააკვირდით როგორ წარიმართა ბრძოლა სხვა მატჩში: ვინც პირველი მარცხდება, მატჩსაც ის აგებს. გამონაკლისია მხოლოდ ტალ—გლიგორიჩის მატჩი. მაგრამ აქ ტალი აშკარად სჯობდა იუგოსლაველ დიდოსტატს.

სპასკიმ ალღო აუღო ამ პატარა მატჩებს. ზოგიერთ პოზიციაში ისეთ „თავხედურ“ სვლებს აკეთებდა, რასაც სხვა დროს (ტურნირში, მატჩში, სადაც მეტი პარტია თამაშდება) არ იკადრებდა. ეს თავისებური რისკი გახლდათ. უმართლებდა კიდეც.

სპასკი არასოდეს არ კარგავდა ზომიერებას. გაიხსენეთ მისი მატჩი კორჩნოისთან. მოგებული VI პარტიის წაგების შემდეგ იგი ისე თამაშობდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

● **გამოდის, რომ სპასკის პეტროსიანთან მატჩის მოგების დიდი შანსი აქვს.**

— მათი მატჩის შედეგის წინასწარმეტყველება ძალზე რთული ამბავია. პროგნოზებს მხოლოდ სულწასული ჟურნალისტები აკეთებენ.

ჩემი აზრით, პეტროსიანთან ორთაბრძოლაში სპასკის არ გამოადგება ჩემთან, ლარსენთან და კორჩნოისთან მატჩების ტაქტიკა და გამოცდილება. პეტროსიანთან მან 24 პარტია უნდა ითამაშოს. აქ ორთაბრძოლის ბედს სხვა ფაქტორები წყვეტს. ორი-სამი პარტიის წაგება ჯერ კიდევ არ ნიშნავს მატჩის დათმობას. გაქვს ამოსუნთქვის, გონს მოსვლის დრო. პეტროსიანთან სპასკიმ ბრძოლის სხვა ტაქტიკა უნდა აირჩიოს. მან თამაშით უნდა აჯობოს პეტროსიანს. ეს კი ადვილი როდია.

● **როცა შინ ხართ, რით ერთობით?**

— საშასთან ვთამაშობ, ოღონდ ჭადრაკს არა, ვეხმარები მეუღლეს და ბევრს ვკითხულობ.

● **ტურნირის დღეებში თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?**

— შეჯიბრებაში მონაწილეობისას თავისუფალი დღეების შევსება არც ისე იოლი საქმეა. ეს დღეები დასასვენებლად გვეძლევა. ყველამ როდი იცის დასვენება. ძნელია გონებიდან ჭადრაკის განდევნა. ამიტომ ხშირად მოჭადრაკეები კარტის თამაშით ერთობიან.

ჩვენში კარტი აზარტულ თამაშადაა მიჩნეული. ეს ასეცაა, ვინც მას ბოროტად იყენებს, ფულზე თამაშობს. მოჭადრაკეები ჩვეულებრივ თამაშობენ ბრიჯს, პოკერს. სხვათა შორის, დიდმა ლასკერმა წიგნიც კი დაწერა „კარტის თამაშის თეორია“. საქმე ისაა, რომ ეს თამაშები გონებას რაღაც განსხვავებულად ამუშავებს, გავიწყებს საჭადრაკო განცდებს. ვერთობი დომინოს თამაშითაც. სხვათა შორის, მისი დიდი მოყვარულია ვასილ სმისლოვიც. ხშირად კარტისა და დომინოს თამაშში ვისვენებდით ლუგანოში, ოლიმპიადის დღეებშიც.

● **ყველაზე მეტად რას აფასებთ ჭადრაკში: სპორტს, ხელოვნებასა თუ მეცნიერებას?**

— მათს შერწყმას. მიზიდავს თამაშის ლოგიკა. ვხარობ, როცა კომბინაციას შევამჩნევ. მეამაყება წარმატება ტურნირში.

● **თქვენი უსიამოვნო და სასიამოვნო მეტოქეები?**

— ალბათ ისინი, ვისთანაც ცუდად ან კარგად ვთამაშობ. სასიამოვნო მეტოქეები არიან სპასკი (მხოლოდ არა მატჩებში), სმისლოვი, კერესი და კორჩნოი. უსიამოვნო ბევრია.

● **რატომ არ დაასახელეთ რობერტ ფიშერი? თქვენ ხომ მასთან 3 პარტია გაქვთ მოგებული, ფიშერს კი თქვენთან არც ერთი?**

— მართალია. მეგონა მხოლოდ საბჭოთა მოჭადრაკეებზე მეკითხებოდით.

● **საინტერესოა, რით ხსნით ამ ნიჭიერი დიდოსტატის ჭირვეულობას?**

— ჩემი აზრით, ამას ორი ახსნა აქვს. პირველი. ფიშერი ტურნირში მონაწილეობისთვის დიდ გასამრჯელოს ითხოვს. როცა არ აკმაყოფილებენ, ჯიუტობს, თავს არიდებს თამაშს. აქ ფიშერი არ სტყუის, იგი პროფესიონალია. გასამრჯელო მისი ცხოვრების პირობაა. ამ საკითხში მისი ჭირვეულობა ბევრს უხასიათობა ჰგონია. მეორე: როცა თამაშის პირობებს შეუქმნიან, ესე იგი გასამრჯელოს უხდიან, ბობი მაინც ჭირვეულობს... საბჭოთა მოჭადრაკეებთან დამარცხების შიშით. დიახ, ეს სრული ჭეშმარიტებაა.

ლუგანოში ოლიმპიადა მან პირველსავე დღეს მიატოვა. მიზეზი: დარბაზის სუსტი განათება, ხმაური, თამბაქოს კვამლი... ისმის კითხვა: თუ თამაშობდნენ სხვა მოჭადრაკეები, მათ შორის თვით მსოფლიო ჩემპიონი, ფიშერი რა გამონაკლისი იყო? მაგრამ მას ხელს არ აძლევს ჩვენთან თამაში. რომ წააგოს სახელი გაუტყდება, წაგებისაგან კი დაზღვეული არ არის. ბობის ამერიკელი მეცენატებიც მიუხვდნენ და ისინი ითხოვენ, იბრძოლოს მსოფლიო პირველობისთვის.

● **ამიტომ ხომ არ დატოვა ფიდე-მ პრეტენდენტთა მატჩები, რომლის შეცვლასაც კონგრესზე მოითხოვდნენ ჩვენი და სხვა ქვეყნები?**

— ადვილი შესაძლებელია. ვნახოთ, ითამაშებს თუ არა ფიშერი საზონათშორისო ტურნირში, რომელიც 1970 წელს უნდა მოეწყოს.

● **ვინ მიგაჩნიათ ყველა დროის დიდ მოჭადრაკეებად?**

— მორფი, სტეინიცი, ლასკერი, ალიოხინი, კაპაბლანკა, ნიმცოვიჩი და ბოტვინიკი. ამ კორიფეებში შევიყვანდი ტალსაც.

● **თანამედროვე უძლიერეს მოჭადრაკეთა ათეულში ვის დაასახელებდით?**

— პეტროსიანს, სპასკის, კორჩნოის კერესს, ტალს, შტეინს, სმისლოვს, ფიშერს, ლარსენს...

● **და, რა თქმა უნდა, თქვენ — ჩამოვართვი სიტყვა გელერს. მან გაიღიმა.**

● **ბოლოს, როგორი აზრისა ხართ გორის ტურნირზე?**

— ვახტანგ ქარსელაძის მემორიალის შემოღება კარგი საქმეა. დიდებული იქნება თუ პირველი ქართველი ოსტატის ვიქტორ გოგლიძის მემორიალსაც დავამკვიდრებთ. საერთოდ ტრადიციად უნდა იქცეს ჩვენს ქვეყანაში გამოჩენილი საბჭოთა მოჭადრაკეების მემორიალები. ამ მხრივ საქართველომ ყველას კარგი მაგალითი მისცა.

მომწონს მემორიალის ორგანიზაციაც. გორელებმა ღვიძლ საქმედ მიიჩნიეს შეჯიბრების სანიმუშოდ ჩატარება. ალბათ მართებულია ზოგიერთი დიდი ტურნირის მოწყობა შედარებით პატარა ქალაქში, სადაც ჭადრაკს ბევრი ტრფიალი ჰყავს.

მემორიალის მთავარ ღირსებად ის მიმაჩნია, რომ მასში თანამედროვე ქართული ჭადრაკის საუკეთესო წარმომადგენლები მონაწილეობდნენ ნონა გაფრინდაშვილისა და ბუხუტი გურგენიძის თავკაცობით. ტალმა, რა თქმა უნდა, დაამშვენა ეს ღირსსახსოვარი ტურნირი. კმაყოფილი ვარ, რომ ამ საჭადრაკო ზეიმის მონაწილე ვიყავი.

„მოსისხლე... ძმების“ ომი

დასავლეთგერმანული პრესა რუდოლფ და ადოლფ დასლერებს „მოსისხლე... ძმებს“ უწოდებს. 30-იან წლებში მათ მამისგან სახარაზო სახელოსნო მიიღეს მემკვიდრეობად და სპორტული ფეხსაცმლის დიდ საწარმოდ აქციეს იგი.

თავდაპირველად ძმები ერთად ხელმძღვანელობდნენ საქმეს, მაგრამ მალე ერთი საწარმო საკმარისად აღარ მოეჩვენათ. რუდოლფ დასლერმა შექმნა ფირმა „პუმა“, ადოლფმა — „ადიდასი“. ამ დღიდან ძმები მტრებად იქცნენ და მხოლოდ სასამართლოს დარბაზებში ხვდებიან ერთმანეთს. ძმები ქირაობენ ვექილებს და ერთმანეთს უჩივიან პატენტების ქურდობისთვის, საწარმოო საიდუმლოებათა მიტაცებისა და ბაზარზე უკანონო მაქინაციებისთვის.

რუდოლფ დასლერმა მოსყიდვის გზით მჭიდრო კონტაქტი დაამყარა დასავლეთგერმანული საფეხბურთო კლუბების მწვრთნელებთან და მენეჯერებთან. ამის შედეგად, გფრ-ის ნაკრების ყველა მოთამაშე მისი ფირმის ნაწარმს ხმარობს. მაგრამ როგორც კი რუდოლფს მცირე უსიამოვნება მოუვიდა დასავლეთ გერმანიის ნაკრების მწვრთნელთან ჰერბერგერთან, ძმის ადგილი ადოლფმა დაიკავა.

დასლერების ბრძოლის ცენტრალური ველი იყო და არის გერცოგენაურახი, სადაც ფირმის კანტორები და ფაბრიკებია განლაგებული ამ ქალაქში 11 ათასი კაცი ცხოვრობს. ცენტრში დგას მაჩვენებელი (იხილე სურათი). ისარი წარწერით „ადიდასი“ ერთ მხარეს უჩვენებს გზას, წარწერა „პუმა“ — მეორე მხარეს. ქალაქის მოსახლეობის უმეტესობა ძმების წარმოებაში მუშაობს. დასლერების ომმა მოქალაქეთა ოჯახებიც კი გათიშა. მაგალითად, ზოგჯერ მამა ერთი ძმის ქარხანაში მუშაობს, შვილი მეორე ძმის წარმოებაში. ძმები არაფერს ერიდებიან, რათა მწვრთნელები და სპორტსმენები მოისყიდონ.

რომის ოლიმპიადის ჩემპიონს, მსოფლიოს უსწრაფეს სპრინტერს არმინ ჰარის 100 მეტრზე ფინალური რბენის დროს „პუმას“ ფეხსაცმელი ეცვა, ოქროს მედლის მიღებისას კი „ადიდასისა“ (იხილე სურათები).

adidas
PUMA

სულ ახლახან „ადიდასის“ სარეკლამო განყოფილების დირექტორმა ა. ბენტჩიმ გახსნა ეს საიდუმლო. მან განაცხადა: „ჰარიმ მოწმეთა თანდასწრებით 2 ათასი მარკა მოგვთხოვა ჩვენი ფეხსაცმლის ჩაცმისთვის. მაგრამ იგი მეორე ძმის ფირმისგანაც ღებულობდა ფულს. საპატიო კვარცხლბეკზე ჩვენი ფეხსაცმელი იმიტომ ჩაიცვა, რომ არ გვემხილებინა“.

ძმების ბრძოლა გრძელდება. საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთხელ ჰამბურგის საფეხბურთო გუნდის ერთ-ერთი მოთამაშე მინდორზე სხვადასხვა — ორივე ძმის ფირმის ბუცებით გამოვიდა.

ფაბრიკანტების ბრძოლის აპოთეოზად იქცა მეხიკოს ოლიმპიადა. ადოლფ დასლერმა საორგანიზაციო კომიტეტისგან კოლოსალურ ფასად იყიდა ოლიმპიურ სოფელში თავისი სპორტული ფეხსაცმლის გაყიდვის უფლება. რუდოლფმა კი თავისი წარმომადგენლობა მხოლოდ სოფლიდან ერთი საათის სავალზე გახსნა. მაგრამ რუდოლფს მარტო აქ როდი უმტყუნა ბედმა. მექსიკელმა მებაჟეებმა დააკავეს გემი, რომელსაც „პუმის“ ფირმის ფეხსაცმელი მიჰქონდა. რუდოლფის ვაჟმა — არმინ დასლერმა მაშინვე განაცხადა, ამ საქმეში ბიძაჩემის ხელი ურევია. „მაგრამ ეგ არაფერი,— თქვა მან, — თუ მეხიკოში ვერ მოვისყიდით რეკლამისთვის საჭირო სპორტსმენებს, ოლიმპიური თამაშების შემდეგ მაინც მოვახერხებთ ამას“.

„ფოკენპოსტი“ (გდრ)

ვინ იქნება მეჩვიდმეტე?

4 ტრამპლინის საახალწლო ტურნეს ორგანიზატორები ავსტრიისა და გფრ-ის სათხილამურო ფედერაციები არიან. მათი წინადადებით 1952 წლის დამლევს დაიწყო და 1953 წლის დამდეგს დამთავრდა I ასეთი საერთაშორისო შეჯიბრება, რომელიც შემდეგ ტრადიციად იქცა. შეჯიბრებაში ყველა ქვეყნის საუკეთესონი ცდიან ძალას, გამარჯვებულებს კი ასახელებენ როგორც ცალკეულ, ისე ოთხი ტრამპლინის ჯამში. ამასთან, ის ქვეყნები, სადაც ტურნირები ეწყობა ძვირფას პრიზებს აწესებენ.

შეჯიბრება იმდენად პოპულარული გახდა, რომ მის სანახავად ათეულ ათასობით მაყურებელი იყრის თავს. პირველ ტურნირში ყველას აჯობა ავსტრიელმა ბრედლიმ. მას შემდეგ კიდევ 15 ტურნირი გაიმართა, რომლებშიც შვეციის, ნორვეგიის, ფინეთის, სსრ კავშირის, პოლონეთის, იუგოსლავიის, გდრ-ის, გფრ-ის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა ქვეყნების საუკეთესო ძალები გამოდიან.

სსრ კავშირის სპორტსმენებმა ტურნირში განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს მაშინ, როცა ნაკრების ღირსებას ერთად იცავდნენ კ. წაქაძე, ნ. შამოვი და ნ. კამენსკი. წაქაძეს არა ერთ ტრამპლინზე მოუგია ასპარეზობა და სახელობითი პრიზებიც დაუსაკუთრებია. კამენსკიმ კი ოთხი ტრამპლინის ჯამში ისახელა თავი. მათ შემდეგ საბჭოთა „მფრინავმა მოთხილამურეებმა“ პოზიციები ერთგვარად დათმეს.

გაგახსენებთ წლევანდლამდე გამართული ტურნირების ლაურეატებს:

1952-53 წ.	ბრედლი (ავსტრია)
1953-54	ბიორნსტადი (ნორვეგია)
1954-55	სილვენოინენი (ფინეთი)
1955-56	კამენსკი (სსრ კავშირი)
1956-57	უოტინენი (ფინეთი)
1957-58	რეკნაგელი (გდრ)
1958-59	რეკნაგელი
1959-60	ბოლკარტი (გფრ)
1960-61	რეკნაგელი
1961-62	კირონენი (ფინეთი)
1962-63	ენგანი (ნორვეგია)
1963-64	კანკონენი (ფინეთი)
1964-65	ბრანდტეგი (ნორვეგია)
1965-66	კანკონენი
1966-67	ვირკოლა (ნორვეგია)
1967-68	ვირკოლა
1968-69	. . . .

ვინ იქნება მეჩვიდმეტე? ამ კითხვაზე პასუხს გაგვცემს წლევანდელი ტურნირი, რომლის პირველი შეჯიბრება ობერსტდორფში გაიმართა. აქ ყველას აჯობა მსოფლიოს ჩემპიონმა ბ. ვირკოლამ. საბჭოთა სპორტსმენებიდან საუკეთესო იყო ოლიმპიური ჩემპიონი ვ. ბელოუსოვი. მან VIII ადგილი დაიკავა.

მეორე ტური გარმიშ-პარტენკირჰენის (გფრ) ტრამპლინზე გაიმართა. სსრ კავშირის სპორტსმენები ამჯერად კარგად გამოვიდნენ: ა. ქველანოვმა ორი საუკეთესო ცდის ჯამში 235,4 ქულა დააგროვა და II ადგილი გაინაღდა, გრენობლის ოლიმპიადის ჩემპიონმა ვ. ბელოუსოვმა კი 233,6 ქულა მოიხვეჭა და ამ ტრამპლინზე III იყო. უძლიერესი ამჯერადაც გახლდათ ვირკოლა, რომელიც ყველაზე შორს — 94 და 92 მეტრზე გადახტა. ორი ეტაპის შემდეგ, რა თქმა უნდა, ვირკოლა ლიდერობს.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 4 უე 07306